

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან

ალეკო ნაჭყებია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ალექო ნაჭყებია.

თარიღი: 24.06.16

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურები:	4
აბსტრაქტი.....	5
Abstract	6
თავი 1. შესავალი.....	7
თავი 2. ძირითადი ნაწილი	10
2.1 საბანკო გარანტიის არსი.....	10
2.1.1. საბანკო გარანტიის მონაწილეები.....	15
2.1.2. საბანკო გარანტის სახეები.....	16
2.1.3. გარანტიის განსხვავება უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან.....	20
2.1.3.1. განსხვავება თავდებობისგან.....	21
2.1.3.2. განსხვავება მოვალის გარანტიისგან	23
2.1.3.3. განსხვავება დოკუმენტალური აკრედიტივისგან.....	23
2.2. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა	24
2.2.1. გარანტსა და ბენეფიციარს შორის.....	28
2.2.2 პრინციპალსა და გარანტს შორის.....	28
2.2.3 ძირითადი ურთიერთობის მხარეებს შორის	29
2.3 გადახდის პირობები (მექანიზმი)	29
2.3.1. გადახდა პირველი მოთხოვნისთანავე.....	31
2.3.2 გადახდა მესამე პირის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე	32
2.3.3 გადახდა სასამართლო ან საარბიტრაჟოს გადაწყვეტილების საფუძველზე	33
2.3.4 გადახდის მოთხოვნის წარდგენის ვადა.....	34
2.3.5 ინფორმაციის წარდგენა ძირითადი ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით...	35
2.4. საგარანტიო თანხის არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის რისკი.....	37
2.4.1. არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის მტკიცება	42
2.4.2. გარანტის მოვალეობა არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის მიღების დროს	44
2.4.3. საგარანტიო თანხის გადახდის შეჩერება	48
თავი 3. დასკვნა	52
ბიბლიოგრაფია	55

გამოყენებული აბრევიატურები:

ICC - საერთაშორისო სავაჭრო პალატა (international chamber of commerce)

URDG N758 - საერთაშორისო სავაჭრო პალატის N758 პუბლიკაცია „უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტიებისთვის“ Publication N758 „ICC Uniform Rules for Demand Guarantees“

UNCITRAL - გერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (United Nation Commisiom On International Trade Law)

აბსტრაქტი

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ წარმოშვა ხელშეკრულების მხარეთა ინტერსების დაცვის იმგვარი საშუალების არსებობის საჭიროება, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში სრაფად და ეფექტურად დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოთხოვნები. უკანასკნელ წლებში, როგორც საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, ასევე ქვეყნის შიგნით დადებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად აქტიურად გამოიყენება საბანკო გარანტიის ინსტიტუტი. უპირველესი მიზეზი, რამაც განაპირობა საბანკო გარანტიის პოპულარიზაცია, არის მისი განსაკუთრებული თავისებურებები, რაც გამოარჩევს ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან. თუ რა უპირატესობები გააჩნია საბანკო გარანტიას და რატომ არის ის დღესდღეობით კრედიტორის ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი, ამაზე წინამდებარე ნაშრომში მექნება საუბარი, რომლის მიზანია საბანკო გარანტიის თავისებურებებზე მსჯელობის პროცესში გამოკვეთოს ის ხარვეზები რაც საბანკო გარანტიის მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობას აქვს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გარანტია, უზრუნველყოფა, უპირატესობა

Abstract

The development of commercial relations has triggered the need of the protection of the interests of contracting parties in the way that would give them opportunity to satisfy their claims in a prompt and efficient manner. In the last years, bank guarantee institute is actively applied as in the international commercial relationship as well at the national level. First reason what caused popularization of the bank guarantee, are the special characteristics, which differs security of the obligation from other means of protection. Namely, what are the privileges of bank guarantee and why it is one of the most efficient instrument in protection of the creditors' interests, will be discussed below in the present working paper, the aim of which is to highlight flaws of Georgian legislation concerning bank guarantee when discussing general issues and particularities of bank guarantees.

Key words: Guarantee, Security, Privilege